

მანა მიქაუტაძე.
ლია ახალაძე

ზოგიერთი იმერჯული ტოპონიმის ლოკალიზაციის საკითხისათვის

ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლის - ხანძთის სამონასტრო კომპლექსის ადგილმდებარეობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე თვალსაზრისია გამოთქმული:

ნ. მარის მიხედვით, კლარჯეთის 12 სავანეთა მხარეში ხანძთისა და შატბერდის სახელები არ შემონახულა და ეს სახელები ადგილობრივ ტოპონიმიაში დავიწყებულია. მისი ვარაუდით, ხანძთა უნდა იყოს ძეგლი, რომელიც მდებარეობს სოფელ ფორთის ჩრდილოეთში (ზემო-ფორთაში) და ცნობილია სახელწოდებით "ნუკა-საყდარი" (ნ. მარი, 1911, გვ. 125), შატბერდი კი უნდა იყოს უსახელო სავანე, რომელიც მდებარეობს იმავე სოფლის მიდამოებში, კერძოდ ფორთის სამხრეთით, რომელიც ამჟამად ქვემო ფორთის ანუ "ფორთის ბაღების" სახელით არის ცნობილი (ნ. მარი, 1911, გვ. 139).

პ. ინგოროყვამ საისტორიო წყაროებზე და საკუთარ ინტუიციასზე დაყრდნობით შემოგვთავაზა საკმაოდ არგუმენტირებული მტკიცება, რომ ფორთის სამხრეთი ზონის (ქვემო ფორთის) უსახელო სავანე არის ნიშანდობლივ ხანძთა და არა შატბერდი, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ფორთა V-VII საუკუნეებში საეპისკოპოსო კათედრას წარმოადგენდა, ფორთის ჩრდილოეთი ზონის ტაძარი (ნუკა-საყდარი), ტიპური ნაგებობა არქაული ეპოქისა, ჩათვლილია ფორთის ძველი კათედრალის ნაშთად (პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 311-316).

ნ. მარი ოპიზას, შატბერდსა და ნუკა-საყდარს მოსაზღვრე ხეობებში განიხილავს; პ. ინგოროყვას მიხედვით კი "ძველი შატბერდი საძიებელია არტანუჯის მხარის ამ უბანში, დოლისყანის მახლობლად, სექტორში, სადაც მდინარე იმერხევი ერთვის ჭოროხს" (პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 317). ამ ვარაუდის საფუძველი არის გიორგი მერჩულის ცნობა, რომლის მიხედვითაც შატბერდი მდებარეობდა კლარჯეთის სავანეთა მხარის განაპირაზე და დაშორებული იყო როგორც ხანძთას, ისე ხანძთის უშუალო მეზობელ სავანეებს. გიორგი მერჩულის ცნობით, ხანძთის უშუალო მეზობელი სავანეები იყო: ოპიზა, ბერთა და „მანლობელნი მისნი (დაბა და ჯმერკი), მიძნადოროდ და წყაროსთავი. გიორგი მერჩულეს აღნიშნული აქვს "ხოლო შატბერდი დაღაცათუ სხუათა მათ უდაბნოთა [- სავანეთა: ხანძთასა, ოპიზასა, ბერთასა და მანლობელთა მისთა - დაბასა ჯმერკსა, მიძნადოროსა და წყაროსთავს] მცირედ შორავს, არამედ განუყოფელად თანამოდმე არს მათი... მოძღურებისა წესითა... და ყოვლითავე კეთილისა საქმითა", ე.ი. შატბერთი თუმცაღა მცირედ დაშორებულია ხანძთასა და ყველა ჩამოთვლილ სავანეებს, მაგრამ მოძღვრებითა და კეთილი საქმითა მათი განუყრელი თანამოდმე არისო" (პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 316).

შ. ფუტყარაძე ადასტურებს სახელწოდება "ხანსტას" (ხანზთა) სოფელ უბესთან ახლოს ჭალის, დავაკების სახელად. ის ამბობს, რომ "აღნიშნული ჭალის შუა ნაწილში ამჟამადაც ჩანს ნანგრევები, შეინიშნება, რომ ადრე რაღაც შენობა მდგარა" და ვარაუდობს: "იქნებ დღევანდელი ჭალა არის ის დავაკება, სადაც პირველად ააშენეს ხანძთის მონასტრის ზის სენაკები და ზის

ეკლესია, შემდეგ კი დიდი ტაძარი... ხანძთა კლდოვანი ადგილი ყოფილა (დღესაც ასეთივეა), ამიტომაც "სათესი ყანაჲ" და "სათიბელი ქვეყანაჲ" მონასტერს არ ჰქონია. ამის გამო აშოტ კურაპალატმა "შეწირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდსა ადგილი აგარაკად ხანძთისა". ამ აგარაკზე კი შემდეგ გრიგოლმა ააშენა განთქმული შატბერდის მონასტერი. ე. ი. შატბერდი და ხანძთა ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს მდებარე უნდა იყოს. შატბერდისა და ხანძთის ადგილმდებარეობის მაძიებელმა მოშავალმა მკვლევარმა ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინოს" (შ. ფუტყარაძე, 1993, გვ. 189).

1967-1983 წლებში ტაო-კლარჯეთ-შავშეთში სამეცნიერო კვლევა-ძიება ჩაატარა კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა ვახტანგ ჯობაძემ, რომელმაც გაიზიარა პ. ინგოროყვას არგუმენტაცია და განაცხადა, რომ "ნ. მარის მიერ შემოთავაზებულ გაიგივებას ხანძთის მონასტრისა შატბერდთან ეწინააღმდეგება მრავალი ურყევი არგუმენტი". აღნიშნულ არგუმენტებად მან მიიჩნია: 1. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში დაფიქსირებული კლარჯეთის მეფე ბაგრატ I-ისა და მისი ორი ძმის მოგზაურობის მარშრუტი არტანუჯიდან ხანძთის მონასტრისაკენ. არტანუჯიდან ისინი პირველად ეწვივნენ შატბერდს, შემდეგ ბერთას და მის ახლომდებარე მონასტრებს: ოპიზას, ხანძთას, მიძნაძორს, წყაროსთავსა და ბარეთელთის მონასტრებს; 2. გიორგი მერჩულეს თხზულებაში ნათქვამია, რომ ოპიზიდან უახლესი მონასტერი არის ხანძთა. გეოგრაფიული თვალსაზრისით ეს მართლაც ასეა; 3. გიორგი მერჩულე თავის თხზულებაში აღნიშნავს, რომ შატბერდი დანარჩენი მონასტრებიდან დაშორებულია; 4. გრიგოლ ხანძთელმა შატბერდი გააშენა როგორც ხანძთის ფილიალი, რადგან ხანძთას არ გააჩნდა საკმარისი მიწა თავის შესანახად. მართლაც ქვემო ფორთაში (ხანძთაში) ნაკლებია ნაყოფიერი მიწა, ხოლო შატბერდში (ვ. ჯობაძემ იგი ახლანდელ ენი რაბათთან გააიგივა - მ. მიქაუტაძე, ლ. ახალაძე) მეტად ნოყიერი, სახნავად ვარგისი ნიადაგი და ხეხილის ბაღებია; 5. სინას მთის ქართულ ხელნაწერის მინაწერში დასახელებული არიან ხანძთის მონასტრის მაშენებელი "ნეტარი მამა გრიგოლი" და ხანძთის სამრევლოს ერთ-ერთი მაშენებელი მარკოზი (ივ. ჯავახიშვილი, 1947, გვ. 241.). ამ არგუმენტების გამო, ვ. ჯობაძემ ხანძთის იდენტიფიკაცია მოგვცა ქვემო ფორთაში და არა ნუკა-საყდარში, როგორც ამას ფიქრობდა ნ. მარი (ვ. ჯობაძე, 2006, გვ. 53-54). შესაბამისად, ვ. ჯობაძის მიერ არგუმენტირებულად იქნა უარყოფილი ნ. მარის მოსაზრება ნუკა-საყდრის ხანძთის მონასტერთან გაიგივების შესახებ (ვ. ჯობაძე, 2006, გვ. 62).

ტ. ფუტყარაძემ შეაჯერა ხანძთის ადგილმდებარეობის შესახებ არსებული თვალსაზრისები; მან იმერჯევის სათავეს მიმდებარე ხანძთასთან დააკავშირა იმფკრეველთა და სხვა იმერჯეველთა გადმოცემებში შემორჩენილი ხსოვნა აქ არსებული დიდი უნივერსიტეტის შესახებ, აქ არსებული ტაძრის ნანგრევები, აქაური ლანდშაფტი წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეებითა თუ ფიცხელი კლდოვანი მთებით და ივარაუდა, რომ ეს ტერიტორია შესაძლოა იყოს გრიგოლ ხანძთელისეული ხანძთა; თუმცა, ტ. ფუტყარაძე იქვე სვამს კითხვებს:

- ამჟამინდელი ოპიზა არის ის ოპიზა, რომელზეც საუბარია გიორგი მერჩულესთან?

- თუ ამჟამინდელმა ოპიზამ შეინარჩუნა ისტორიული სახელი, მიმდებარე ხანძთამ (ამჟამინდელმა ქვემო ფორთამ) რატომ დაკარგა ისტორიული სახელი (ხანძთა)?

- შეიძლება მართლაც ორი ხანძთა იყო; კარჩხალის ხევის ხანძთის (ქვემო ფორთის) ლეგენდად ქცეული ისტორია იმერხევის მოსახლეობაში ზომ არ დაუკავშირდა სათავესთან არსებულ ხანძთას?

- ძველი გზები მთებზე გადადიოდა (არ მიჰყვებოდა მდინარეების კალაპოტს); ზემო ფორთიდან სათავემდე ფეხით/ცხენით უფრო ნაკლები მანძილია, ვიდრე არტანუჯიდან ფორთამდე; ძველი გზების დეტალური შესწავლის გარეშე განესაზღვრავთ კი ტაძრების სიახლოვესიშორეს?

შესაბამისად, ტ. ფუტკარაძეს მიაჩნია, რომ ხანძთის, შატბერდის, ოპიზისა და სხვა დიდ ქართველურ კულტურულ ცენტრთა მდებარეობის საკითხი დამატებით კვლევა-ძიებას ითხოვს (ტ. ფუტკარაძე, 2006, გვ. 53-54).

იმერკუვის ტოპონიმიკის ადგილზე შესწავლამაც ცხადყო, რომ ხანძთის მონასტრის იდენტიფიკაციის საკითხი ჯერ კიდევ ითხოვს კვლევასა და დაზუსტებას. 2007 წლის აგვისტოში იმერკუვში ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბრისას ბევრი ძველი საინტერესო ტოპონიმი და გადმოცემა ჩავიწერეთ. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სოფელ სურევანსა და სოფელ დავითეთში დაფიქსირებულმა ადგილის სახელმა **ოპიზარაჟ (ოპიზაჟ?)**; ჩვენი ინფორმატორები იყვნენ: უეზეირ შარამათი, 58 წლის, სოფ. დავითეთიდან; პეტრიაშვილი ასლანა, 57 წლის, სოფ. ზემო ბარიდან; ნერიმანი პეტრიენთი, 35 წლის, სოფ. სურევანიდან.

მთქმელთა მიხედვით, **ოპიზარაჟ** დიდი მთაა, ახლა იქ სოფლის იაილებია, იქვე ცივი წყალია; **ოპიზარაჟს** მთიდან ორი საათის სავალზე არის **ხანძთა**: “ოპიზარაჟ თაა, დიდი თა. ზემო, იქ თაზე წყალია; იქაა მირის საფლავე; ოპიზარა ცივი იაილის წყლებია, სახლები გარეთაა ოპიზარა ბატრუანის ქვეშედამ; ცხტარ დავრცხილით ოპიზარაზე; ოპიზარა თიდან ჩამოხვალ ორ საათ იარ, ხანცთაზე ჩამოხვალ, დიობნის ზედადან არი”.

სოფ. უბეში 51 წლის ენგინ და მეთინ ილმაზებისაგან ჩავიწერეთ მასალა, რომლის თანახმად სოფ. უბის გადაღმა, იაილების მხარეს არის ადგილი, რომელსაც ჰქვია “**ხანცთა**”; იქ ადრე დიდი “ქილისე (ეკლესია) იდგა”, იგი დაინგრა, მაშინ როცა “მე ბატარაჟ ვიყავი... გული დიმეწვა”, ზედ ჯვარიც ყოფილა. დღეს მისი ნანგრევები მიწის ქვეშ უნდა იყოს: “ახლა ზედ ქალებია”.

სოფ. სურევანში 67 წლის ლუთიფე ევბაშისაგან ჩავიწერეთ: “სურევანის თას (მთა) იაილები აქვს, ჩტენ ორი თა გუქონდა, ჩტენი თა ბარელთა იყო მაჭახელას ზედელა. ბარელთასთან არის კოთელა, იქით უბე იაილა. ხევწრულის იაილა, იმა მალლა არი კოთელა, მის გადაღმა არის მერელთა, ლეჭობანი, მაჭახელა, მაჭახელას უკან საქონდრიათი, მირის საფლავე - ეს ადგილი ნახევარი ჩტენი, ნახევარი ქოქლიეთისაჟ“. ლუთიფეს თქმით, მირის საფლავე მოიცავს ადგილებს: შეიღღელაჟ, ბწკერაჟ, მერე უღელტეხილი, იმა უკან არი ნიკარკაპანი, ჩხოკიჭტარი - იქიდან ჩტენი იაილა ჩანს. ჩხოკიჭტარიდან ჩამოხვალ, არი დაბიგადასახედავი, **ხანცთა** აქ არი - წყალი არი და ქალებია“. ჩვენს კითხვაზე, იყო თუ არა აქ “ქილისე” (ეკლესია), გვიპასუხა: “ქილისა ჩვენ არ დიგვინახავს. ხანცთას თავზე მალარა არის და სათავეა”.

10 აგვისტოს სოფ. ზიოსში ნაჰიდ პაპუაშვილისა (ნაჰიდ ბილგინ) და თემურ პაპუაშვილის (თემელ ბილგინ) მონათხრობის მიხედვით, **ხანცთას** ეძახიან უბის თავზე ოდესღაც არსებულ ტაძარს.

როგორც ვხედავთ, სურევნელი ლუთიფე ევბაშის და ზიოსელი პაპუაშვილების მიერ ლოკალიზებული ტოპონიმი “**ხანძთა**“ ემთხვევა უბეში

ჩაწერილ მეთინ და ენგინ ილმაზების მიერ დასახელებულ ადგილს - სამივე წყარო ტოპონიმ ხანძთას უბის იაილები ზემოთ, ჭალიან ადგილზე ასახელებს. გიორგი მერჩულე კი თავის თბზულებაში ხანძთას მოიხსენიებს კლდოვან და ძნელად მისასვლელ ადგილად. რატომ ეძახის ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს ხანძთას? და რატომ შემორჩა ეს სახელი აქ და არა ქვემო ფორთაში, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს როგორც ხანძთა ისეა აღიარებული?

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იმერჯევის ამავე სანახებში დავაფიქსირეთ ტოპონიმები დიდი მერე, დიდმერე, შუა დიდმერე, დიდი მერეთა... "დიდი მერე - დიდი ჯვია, წყალი მიდის; ქოიოხს ერევა; ერთია, კლავია, თური წყალია... თეებზე მოკრეფილი თელი წყლები დიდ მერეში ჩამოდის; დიდმერეს გვერძე ვენაჯები ჯვარისჯევის წინადამან; დიდი მერეთა იაილებია..."

სოფ. ივეთში ჭალის სახელად დადასტურდა ტოპონიმი მერე (იხ. ტ. ფუტკარაძე, 2007, გვ. 84).

სოფ. იმნიეთის თავზე, მაღალ, სტრატეგიულ ადგილას, შემორჩენილი თამარის დიდი ციხის ნანგრევების ქვეშ ადგილის სახელად დადასტურდა პარეტიკოხი (მდრ., პარეხი - ნაპრაღი კლდეთა შორის; კიხის საფეხური; სავარაუდოა: პ-სთან დისტანციური ასიმილაციით კრებითობის გამომხატავი თი > ტი: სიტყვასიტყვით: ნაპრაღებიანი ადგილის მიმდებარე ქვიანი ადგილი (არ გამოირიცხება სხვაგვარი ეტიმოლოგიაც) (მ. მიქაუტაძე, ტ. ფუტკარაძე, 2006, გვ. 194).

პარეხიცა და მერეც, როგორც ცნობილია, ადგილის სახელებად ბერთისა და ქვემო ფორთის მახლობლადაც დასტურდება. ორივე ეს სავანე კლარჯეთის თორმეტ ცნობილ სავანეთა რიცხვს მიეკუთვნება (პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 328-347).

ე. ი. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დასახელებულ ტოპონიმიაში გვხვდება ორი ოპიზა, ორი პარეხი, ორი მერე...

რაც შეეხება ხანძთას, როგორც ნაჩვენები იყო ზემოთ, ადგილის სახელად იგი მხოლოდ იმერჯევის სათავის მიმდებარედ დასტურდება.

თუ ორი ხანძთა იყო, ამჟამინდელმა ქვემო ფორთამ რატომ დაკარგა ისტორიული სახელი (ხანძთა), თუკი ის შეინარჩუნეს დანარჩენებმა?

გიორგი მერჩულის თბზულებაში ხაზგასმულია, რომ ხანძთა და ოპიზა ერთიმეორის უშუალოდ ესაზღვრებოდნენ (გიორგი მერჩულე, გვ. 127). ქვემო ფორთა და ოპიზა მართლაც ემეზობლება ერთმანეთს; როგორც ვნახეთ, იმერჯევის სათავის მიმდებარედ სოფ. უბეს ზემოთ დაფიქსირებული "ხანძთის" მეზობლად ასევე ფიქსირდება ტოპონიმი "ოპიზარა". რით შეიძლება აიხსნას ეს გაორება?

ცხადია, იმერჯევის სათავის მიმდებარე ხანძთის მეზობლად ტოპონიმ "ოპიზარა"-ს დაფიქსირება ამყარებს ვარაუდს ამ ტერიტორიისა და გრიგოლ ხანძთელისეული ხანძთის იდენტურობის შესახებ, მაგრამ რა ვუყოთ ქვემო ფორთაში ხანძთის ლოკალიზაციის მეტად მყარ არგუმენტაციას?

ჩვენი აზრით, კვლევის ამ ეტაპზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" მოხსენიებული ხანძთა, ოპიზა და მერე გაცილებით უფრო სამხრეთით მდებარეობდა, ვიდრე იმერჯევის სათავე. ცნობილი ფაქტია, რომ ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგო ერთბაშად ვერ ჩაიგდო ხელში და ამის განსახორციელებლად თითქმის მთელი XVI საუკუნის II ნახევარი დასჭირდა.

აუცილებლად გასათვალისწინებელია გამუსლიმანების პროცესიც, რომელიც სამხრეთიდან უტევდა ადგილობრივ მოსახლეობას და თანდათანობით მიიწვედა ჩრდილოეთის მხარეებისაკენ. როგორც ჩანს, XVI საუკუნის მიწურულს თურქეთის მიერ ამ რეგიონის საბოლოოდ მიტაცებამ და მიწისმფლობელობის წესების შეცვლამ (რაც იძულებით გამუსლიმანებას იწვევდა) კლარჯეთისა და შავშეთის სამხრეთში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილის აყრა და ჩრდილოეთით, შედარებით უფრო უშიშარ და გაცილებით უფრო მაღალ ზოლში გადასახლება გამოიწვია. ამას თან მოჰყვა ქრისტიანული სიწმინდეების გადმოტანა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, რაც შესაბამისად აისახა იმერჯევეში მოსული მოსახლეობის ტოპონიმიაში (ამ პერიოდში სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გადმოსახლების არაერთი მაგალითი გვაქვს. მაგალითად: ასე გაჩნდნენ ფანასკერტელები (ციციშვილები) ქართლში, შალიკაშვილები კახეთში, აბაშიძეები და დიასამიძეები იმერეთში და ა.შ.; აქვე გავიხსენოთ თუ რა ვითარებაში მოხდა ბიჭვინთის ცენტრის გადმოტანა გელათში - მ. მიქაუტაძე, ლ. ახალაძე). როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობა დიდხანს და გააფთრებით იბრძოდა და ცდილობდა ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. საბოლოოდ, ეს რეგიონიც გამუსლიმანდა. ტოპონიმია კი არამარტო იქ შენარჩუნდა, სადაც ქართული მოსახლეობა ცხოვრობდა.

კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ არ შეინარჩუნა ხანძთამ (დღევანდელმა ქვემო ფორთამ) სახელი დიად რჩება იმ ფონზე, როდესაც არც დოლისყანასთან, არც ოპიზასთან, არც ხახულთან, არც პარხალთან, არც ნუკა-საყდართან... ქართული მოსახლეობა აღარ ცხოვრობს, მაგრამ ამ ტაძრებს სახელები შენარჩუნებული აქვთ.

რაც შეეხება ნუკა-საყდარს: როგორც აღნიშნული იყო, ნ. მარი მას თვლიდა ხანძთად, ხოლო პ. ინგოროყვა - ფორთის ძველი კათედრალის ნაშთად. ჩვენ ახლოდან მოვიჩინებთ ნუკა-საყდარი. მისი მდებარეობისა და აგებულების მიხედვით თუ ვივარაუდებთ, იგი უფრო მარტოდმყოფი, დაყუდებული ბერების სადგომად შეიძლება ჩაითვალოს. იმ ტერიტორიაზე სამონასტრო კომპლექსისა თუ საეპისკოპოსო კათედრის არსებობის ნაშთები არც ჩანს და ნაკლებად სავარაუდოცაა (შდრ. ვ. ჯობაძე, 2006, გვ. 62).

ვფიქრობთ, რომ მისაღებია ხანძთის პ. ინგოროყვასა და ვ. ჯობაძისეული ლოკალიზაცია. ამასთან, ვერც მეორე, მაგრამ გვიანი პერიოდის ხანძთის არსებობას გამოვრიცხავთ სათავის მახლობლად მდებარე სანახებში, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას ხანძთის სიდიადესა და ძლიერებაზე თავს დიდი ხნის განმავლობაში შეახსენებდა.

ხანძთის, ოპიზის, პარხის, შატბერდის... და სხვა დიდი სავანეების იდენტიფიკაციისა და ლოკალიზაციის საკითხი დამატებით კვლევა-ძიებას საჭიროებს.

ლიტერატურა

- პ. ინგოროყვა, 1954 - პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
 ნ. მარი, 1911 - Н. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, ТР, VII, 1911.
 ივ. ჯავახიშვილი, 1947 - სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947.

შ. ფუტყარაძე, 1993 - შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

ვ. ჯობაძე, 2006 - ვ. ჯობაძე, ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბ., 2006.

ტ. ფუტყარაძე, 2005 - ტ. ფუტყარაძე, იმერზეული ტოპონიმები: სამებათი, საყდრიყელი, ხანძთა... და ძველი უნივერსიტეტი: XXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2005..

ტ. ფუტყარაძე, მ. მიქაუტაძე, 2006 - მ. მიქაუტაძე, ტ. ფუტყარაძე, იმნიეთის მიკროტოპონიმია: ქართველური მემკვიდრეობა, X, ქუთაისი, 2006.

ტ. ფუტყარაძე, 2007 - ტ. ფუტყარაძე, იმერვევის მეტყველი მიწა-წყალი, ქუთაისი, 2007.

MAIA MIKAUTADZE, LIA AKHALADZE

ON THE LOCATION OF CERTAIN PLACE-NAMES IN IMERKHEULI DIALECT

At various times Georgian Scholars N. Marr, P. Ingorokva, V. Jorbenadze, T. Putkaradze studied the question of identifying the place mentioned as "Khandzta" in the Georgian historical sources.

In August 2007 during the field work of the Dialectology Institute the place name *Khandzta* was mentioned during the interview with the local inhabitants. We identified the place name *Khandzta* in the village of Ube (beyond the village pastures), and the place-names *Opizarai*, *Didi Mere*, *Shua-Didmere*, *Didi Mereta*, *Mere* and *Parekhti* in the villages of Surevani, Daviteti, and Imnieti, respectively. In the place-names mentioned by the local population we discovered two *Opizarai(s)* two *Parekhi(s)*, and two *Mere(s)*... As for the *Khandzta* it is attested only at one place in the vicinity of the Imerkhevi River.

In the 16th century after the annexation of the region to the Turkey the inhabitants of the Southern parts of Klarjeti and Shavsheti provinces, presumably left their homes to settle down in the safer northern strap of the region and later took their sacred memory and belongings with them, that was then reflected in the place-names of those people who came to live in Imerkhevi.

If our conjecture is correct then the present Kvemo Porti is *Khandzta*; however, we cannot exclude the existence of the second *Khandzta* of Later period that is close to the head of the river and the nearby territories.

The questions of identification and localization of such great cloisters as *Khandzta*, *Opiza*, *Parekhi*, *Shatberdi* and the like need further investigation.